საქართველოს მთავრობის

დადგენილება

№583 2017 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №301 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №301 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 09/08/2011, 040030000.10.003.016461) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 1. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 99-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და მე-12 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესი.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის“:

ა) მე-6 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების სხვადასხვა სფეროში გამოითვლება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილებით განსაზღვრული კატეგორიების შესაბამისად;

ზ) ინსპექტირების ორგანოების (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების ჩამტარებელი ორგანოებისა) შემთხვევაში, განისაზღვრება შესაფასებელი ობიექტისა და მის მიმართ მოთხოვნების შემცველი დოკუმენტების კომბინაციათა რაოდენობით. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოების რეგისტრაციისა და მონიტორინგის საფასური იგივეა, რაც ინსპექტირების ორგანოების აკრედიტაციისა და მონიტორინგის საფასური;“;

ბ) მე-10 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 და მე-12 პუნქტები:

„11. ხელშეკრულების საფუძველზე მიწვეული გარე წამყვანი შემფასებლის ერთჯერადი მომსახურების ანაზღაურება განისაზღვრება დარიცხული 375 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა ანაზღაურდება აკრედიტაციის ცენტრის მიერ.

12. „ტექნიკური რეგლამენტის – „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობები, მათ შორის, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის შესაბამისი უფლებამოსილი პირისათვის წარდგენის ვალდებულება, შესაძლებელია განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულებით.“.

3. დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

საქართველოს მთავრობის
2017 წლის 28 დეკემბრის
№ 583 დადგენილების
დანართი

„დანართი №1

№	მომსახურება	განაცხადის საფასური A (ლარებით)	ძირითადი საფასური B (ლარებით)
1	ლაბორატორიის აკრედიტაცია, p≤30	500	1700
2	ლაბორატორიის აკრედიტაცია, 30<P≤80	500	2100
3	ლაბორატორიის აკრედიტაცია, 80< P≤130	500	2500
4	ლაბორატორიის აკრედიტაცია, 130< P≤180	500	2900
5	ლაბორატორიის აკრედიტაცია, 180< P≤230	500	3300
6	ლაბორატორიის აკრედიტაცია, 230< P≤280	500	3700
7	ლაბორატორიის აკრედიტაცია, P>280	500	4100
8	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი P≤30	–	1200
9	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი 30<P≤80	–	1400
10	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი P > 80	–	1600
11	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი 80< P≤130	–	1800
12	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი 130< P≤180	–	2200
13	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი 180< P≤230	–	2600
14	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი 230< P≤280	-	3000
15	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი P>280	–	3400
16	ლაბორატორიის აკრედიტაცია დამატებით სფეროში, P ≤ 20	250	600
17	ლაბორატორიის აკრედიტაცია დამატებით სფეროში, P>20	250	800

18	სხვადასხვა ტიპის სერტიფიკაციის ან ინსპექტირების ორგანოს, მათ შორის, დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამოწმებელი პირისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაცია	500	1700 + 100xN
19	აკრედიტებული სხვადასხვა ტიპის სერტიფიკაციის ან ინსპექტირების ორგანოს, მათ შორის, დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამოწმებელი პირისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის მონიტორინგი	-	1200 + 100xN
20	სხვადასხვა ტიპის სერტიფიკაციის ან ინსპექტირების ორგანოს, მათ შორის, დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამოწმებელი პირისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაცია დამატებით სფეროში	250	1200 + 100xN
21	დამატებითი უბნის/ფილიალის შეფასება		1200 + 100xN
22	აკრედიტაციის მოწმობის ასლის გაცემა ინგლისურ ან რუსულ ენაზე		90
23	წინასწარი შეფასება (ტარდება მხოლოდ განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში)	300	800.“.